



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი



10.01.2014

№ 1

სარჩევი

საქართველო.....	3
SOCAR-ი დამატებით 100 ათასი ოჯახის გაზიფიცირებას უზრუნველყოფს	3
„ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ ხელისუფლებას ენერგო პოლიტიკის მიმართულებით მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს.....	4
რეგიონი	5
„SOCAR“-მა ბერძნული DESFA-ს აქციათა 66 %-ი შეიძინა	5
თურქეთმა ბუნებრივი აირის იმპორტი შეამცირა	6
სომხეთისა და ყირგიზეთის გაზის სატრანსპორტო სისტემები Gazprom-ს გადაეცა.....	6
რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები	7
რუსული კომპანია სირიაში ნავთობს მოიძიებს	7
ყირგიზეთი ჩინეთთან ახალი გაზსადენის მშენებლობაზე შეთანხმებას აწერს ხელს	8
ბელარუსში ახალი წლიდან ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი 20-30%-ით გაძვირდა	9
ევროკავშირი	10
2013 წელს ბრიტანეთის „წინა დღის ბაზარზე“ გაზის ფასები 14%-ით გაიზარდა.....	10
TAP-მა და ICGB-იმ აზერბაიჯანული გაზის ბულგარეთისთვის მიწოდების კონტრაქტს მოაწერეს ხელი	11
ელ.ენერჯის ფასები ლიტვაში სკანდინავიის რეგიონის მსგავსი გახდება	12
მსოფლიო.....	13
ჩინეთი 2020 წლამდე ქარის ენერჯის სიმძლავრის გაორმაგებას გეგმავს	13
ისრაელის ბუნებრივი აირის პირველი მომხმარებელი პალესტინა იქნება.....	14
2013 წლის ნავთობისა და გაზის საბადოების 10 ყველაზე დიდი აღმოჩენა.....	14
ანალიტიკა	15
მსოფლიო ექსპერტები 2014 წელს ნავთობის გაიაფებას პროგნოზირებენ	15

SOCAR-ი დამატებით 100 ათასი ოჯახის გაზიფიცირებას უზრუნველყოფს

კომპანია SOCAR-ი გაზრდილი საინვესტიციო ვალდებულებების ფარგლებში, 2017 წლამდე დამატებით 100 ათასი ოჯახის გაზიფიცირებას განახორციელებს.

ენერგეტიკის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კომპანია SOCAR-ს შორის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი ქართული მხრიდან სამინისტროების ხელმძღვანელებმა კახა კალაძემ და გიორგი კვიციანიშვილმა, მეორე მხრიდან კი აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტმა როვგან აბდულაევმა მოაწერეს.

ენერგეტიკის სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად, 2017 წლამდე მთელი ქვეყნის მოსახლეობის 75 პროცენტს ბუნებრივი აირით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება.



„ის ვალდებულება, რომელიც კომპანიას ჰქონდა 2011 წლამდე და რომელიც 150 ათასი აბონენტის გაზიფიცირებას გულისხმობდა, უკვე შესრულებულია. ჩვენი თხოვნით, მიმდინარე წელსაც SOCAR-მა დაახლოებით 33 ათასი აბონენტის გაზიფიცირება მოახდინა. ახალი მემორანდუმი კი, საშუალებას გვაძლევს, 100 ათასი აბონენტის გაზიფიცირება მოხდეს. პარალელურ რეჟიმში, ჩვენ, ჩვენი სახელმწიფო კომპანიის საშუალებითაც ვახორციელებთ სამუშაოებს და ამ კომპანიის საშუალებით ცალკე 150 ათასი აბონენტი იქნება გაზიფიცირებული“, - განაცხადა კახა კალაძემ.

მისი განმარტებით, უკვე შემუშავებულია 2014 წლის გეგმა, ხოლო დანარჩენი წლების გეგმის დამუშავება ადგილობრივი მოსახლეობის პრიორიტეტების გათვალისწინებით, თითოეულ მუნიციპალიტეტთან მჭიდრო კონსულტაციების ფარგლებში მოხდება.

ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვიციანიშვილი SOCAR-თან გაფორმებულ მემორანდუმს უმნიშვნელოვანესს უწოდებს და ხაზს აღნიშნულ კომპანიასთან თანამშრომლობის მნიშვნელობას უსვამს.

„ეს არის უმნიშვნელოვანესი სოციალური დატვირთვის პროექტი. ჩვენთვის ძალიან

მნიშვნელოვანია აზერბაიჯანულ კომპანიასთან ურთიერთობა, გამომდინარე იქიდან, რომ ის უმნიშვნელოვანესი ინვესტორია საქართველოსთვის. გარდა აღნიშნული პროექტისა, SOCAR-ი აპირებს უახლოეს წლებში კარბამიდის ქარხნის აშენებას, რომელიც არის დაახლოებით მილიარდამდე დოლარის ინვესტიცია. მის მშენებლობაზე 5 ათასამდე ადამიანი დასაქმდება“, - განაცხადა კვირიკაშვილმა და იქვე აღნიშნა, რომ სახელმწიფო SOCAR-თან მჭიდრო ურთიერთობას მომავალშიც გააგრძელებს.¹

„ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენტა ასოციაცია“ ხელისუფლებას ენერგო პოლიტიკის მიმართულებით მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენტა ასოციაცია“ მიესალმება შაკ-დენიზის მეორე ფაზის პროექტის დაწყებას. ამასთან მიიჩნევს, რომ ახლა, როდესაც ენერგორესურსებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ეკონომიკური ისე სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველოში არსებული ჰიდრორესურსები მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული, რადგან აღარ ვიყოთ იმპორტზე დამოკიდებულნი. მითუმეტეს, როდესაც ჩვენ ქვეყანას ამის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია, რაზეც 2013 წელს ამ სექტორის მიმართ ინვესტორთა დაინტერესებაც მეტყველებს. მიმდინარე წელს საქართველოში შემოსული

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 14% სწორედ ენერგეტიკაში ჩაიღო.

მსხვილმა ენერგო პროექტებმა შეიძლება საქართველოს ეკონომიკაში კატალიზატორის როლი ითამაშოს, რადგან მსგავსი ტიპის მასშტაბის პროექტებს თან მოსდევს დიდი

ეკონომიკური და სოციალური სარგებელი, რასაც კონკრეტული მოქალაქეები ირგმნობენ. მომავალ ენერგო პროექტებში შეიძლება განიხილოს, როგორც შაკ-დენიზის მეორე ფაზა, ისე „ხუდონჰესი“, რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. რა თქმა უნდა ყველა ეს პროექტი ადგილობრივი მოსახლეობისა და ქვეყნის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. ასევე მოხდეს ამ პროექტების შედეგად ქვეყნის ეკოლოგიაზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმიზაცია. ამისათვის კი ხელისუფლებას უამრავი სამუშაო აქვს გასაწევი, რათა ერთის მხრივ

¹ <http://www.bpn.ge/biznesi/2607-sokari-damatebith-100-athasi-ojakhis-gazificirebas-uzrunvelyofs.html?lang=ka-GE>

ქვეყანას არ მოუწიოს უარის თქმა მსგავსი ტიპის მსხვილ პროექტებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და ენერგო უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლო ხასიათს ატარებს, ხოლო მეორეს მხრივ, ამ პროექტების ზეგავლენის არეალში მყოფი ადამიანების ინტერესები იქნას სათანადოდ დაკმაყოფილებული.

აგზა ხელისუფლებას ენერგო პოლიტიკის მიმართულებით მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს. დღეისათვის, როდესაც მშპ-ს წლიური ზრდა დაბალ ნიშნულზეა, ქვეყანას ჰაერივით სჭირდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მსხვილი საინვესტიციო პროექტები მაღალი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. ამ პირობებში ენერგო სექტორს ძალუძს ქვეყნის ეკონომიკაში იმ ვაკუუმის შევსება, რომელიც ბოლო წლებში არსებობს.²

რეგიონი

„SOCAR“-მა ბერძნული DESFA-ს აქციათა 66 %-ი შეიძინა

კომპანია „SOCAR“-ი ბიზნესის გაფართოებას განაგრძობს. ცნობილი ხდება, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ ბერძნულ Hellenic Republic Asset Development Fund-თან და კომპანია Petroleum-თან ხელი მოაწერა გარიგებას, რომლის მიხედვითაც SOCAR-ი DESFA-ს (საბერძნეთის ეროვნული გაზის ქსელის ოპერატორი) აქციათა 66 %-ის მფლობელი გახდა.



Hellenic Gas Transmission System Operator S.A.

გარიგება ძალაში შევა მას შემდეგ, რაც დოკუმენტს მოიწონებს და დაამტკიცებს ევროკომისია ენერგეტიკისა და ანტიმონოპოლიური საკითხებში. როგორც აზერბაიჯანული მედია წერს, SOCAR-ისათვის DESFA-ს აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენას დიდი მნიშვნელობა ქონდა, რადგანაც ამ გარიგებით აზერბაიჯანული კომპანიის როლი ევროპის ენერგოუსაფრთხოების მიმართულებით იზრდება.³

² http://bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=20913%3A2013-12-24-10-55-14&catid=49%3A2011-11-06-16-56-03&lang=ka

³ http://bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=20861%3Asocar---desfa---66---&catid=939%3A2011-11-06-17-42-27&lang=ka

თურქეთმა ბუნებრივი აირის იმპორტი შეამცირა

თურქულმა სახელმწიფო კომპანია Botas-მა 2013 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში სხვადასხვა წყაროებიდან 34.29 მლრდ კუბ. მეტრი ბუნებრივი აირის იმპორტი განახორციელა.

2012 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს მაჩვენებელი 38.8 მლრდ კუბ.მ.-ს შეადგენდა. ამის შესახებ ცნობას Botas-ის ოფიციალური ავრცელებს.

თურქეთში იმპორტირებული ბუნებრივი აირის ერთ-ერთი ძირითადი წყარო აზერბაიჯანია და ბუნებრივი აირი თურქეთს სამხრეთ-კავკასიის ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენის მეშვეობით მიეწოდება.

2013 წლის იანვარი-ნოემბრის პერიოდში იმპორტირებული ბუნებრივი აირიდან Botas-მა ექსპორტზე 635 მლნ. კუბ.მ. ბუნებრივი აირი გაიტანა, მაშინ როდესაც 2012 წლის იმავე პერიოდში ეს ციფრი 555 მლნ კუბ.მ. იყო.

კომპანიის განცხადებით, გასული წლის იანვარი-ნოემბრის პერიოდში, თურქეთის შიდა ბაზარზე 33.56 მლრდ. კუბ.მ. ბუნებრივი აირის რეალიზაცია მოხდა, ხოლო 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში - 36.73 მლრდ კუბ.მ.-ის.⁴

სომხეთისა და ყირგიზეთის გაზის სატრანსპორტო სისტემები Gazprom-ს გადაეცა

2013 წლის 23 დეკემბერს სომხეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა რუსეთთან მიღებული შეთანხმების რატიფიცირებას, რომელიც საერთო კომპანია ArmRosGazprom-ის რუსული Gazprom-ის საკუთრებაში გადასვლას ითვალისწინებს. ArmRosGazprom-ი ქვეყანაში რუსული გაზის ტრანსპორტირებაზე, გადანაწილებასა და მის ტრანზიტზე, აგრეთვე ელექტროენერგეტიკაზე პასუხისმგებელი.



შეთანხმების შედეგად სომხეთის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 20%-იანი წილიც რუსული კომპანიის საკუთრება ხდება.

გარდა ამისა, ამ შეთანხმების საფუძველზე, სომხეთს აღარ აქვს უფლება დამოუკიდებლად განახორციელოს ბუნებრივი აირის იმპორტი. ხელშეკრულება 30 წლიანია და 2043 წლამდე სომხეთისათვის გაზის მიწოდების ექსკლუზიური უფლება

⁴ <http://caspiabarrel.org/index.php/en/interesting-news/5639-turkey-reduced-gas-import-and-consumption>

მხოლოდ რუსულ Gazprom-ს ექნება. ამავე ხელშეკრულებით სომხეთს არა აქვს გაზის მიწოდების პირობებში ცვლილების შეტანის უფლება.

პარლამენტში გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობას არ იღებდა ოპოზიციური ფრაქციები, თუმცა მიუხედავად ამისა, სახელისუფლებო პარტიის დეპუტატთა რაოდენობა სრულად საკმარისი აღმოჩნდა აღნიშნული შეთანხმების რატიფიცირებისათვის.

ყირგიზეთის პრეზიდენტმა აღმაზბეკ ატამბაევმა ხელი მოაწერა რუსეთის ფედერაციასთან შეთანხმების რატიფიცირებას, რომლის თანახმადაც ყირგიზეთი კომპანია Kyrgyzgaz-ი რუსულ გაზის გიგანტ Gazprom-ს სიმბოლურ ფასად, ერთ ამერიკულ დოლარად გადაეცემა. შეთანხმება Gazprom-ს ავალდებულებს 655 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას ყირგიზეთის გაზის სფეროში.

ქვეყნის ხელისუფლებამ აღნიშნული გადაწყვეტილება Kyrgyzgaz-ის ვალებიდან გათავისუფლების მოტივით ახსნა.⁵

რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები

რუსული კომპანია სირიაში ნავთობს მოიძიებს

სახელმწიფოთაშორისმა კომპანია Союзнефтегаз-მა და სირიის ხელისუფლებამ სირიის შელფზე ნავთობის მოძიებასთან დაკავშირებით შეთანხმებას მოაწერა ხელი.

შეთანხმების თანახმად, რომელიც 25 წელზეა გათვლილი, რუსულ-ბელარუსული კომპანია სამუშაოების ჩატარებას შელფის 2 000 კმ-ზე შეძლებს. სირიის ენერჯეტიკის მინისტრის ალი აბასის განცხადებით, სამუშაოებს მთლიანად რუსული მხარე აფინანსებს. სირიაში, როგორც ცნობილია, 2011 წლის მარტიდან სამოქალაქო ომი მიმდინარეობს, რაც ნიშნავს რომ ქვეყნის ნაპირებზე სამუშაოების ჩატარება უსაფრთხო არ იქნება.



რუსულ-ბელარუსული კომპანია 2000 წელს შეიქმნა, კომპანიას სათავეში რუსეთის ენერჯეტიკის ყოფილი მინისტრი იური შაფრანიკი უდგას.

⁵ http://abkhazia.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=101&info_id=1972

BBC-ის ინფორმაციით, სირიის შელფის დამუშავებასთან დაკავშირებით ქვეყნის ხელისუფლება ადრე ჩინეთთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებებს.⁶

ყირგიზეთი ჩინეთთან ახალი გაზსადენის მშენებლობაზე შეთანხმებას აწერს ხელს

ყირგიზეთის პრეზიდენტმა ალმაზბეკ ატამბაევი ჩინეთთან ახალი გაზსადენის მშენებლობა-ოპერირებაზე შეთანხმებას მოაწერა ხელი.

ახალი მილსადენი, რომელსაც Line D-ს უწოდებენ, ტრანს აზიური გაზსადენის (TAGP) მომსახურებას გასწევს, რომლითაც ამჟამად ჩინეთის ბაზრისთვის უზბეკური და ყირგიზეთი გაზის მიწოდება ხდება. ატამბაევი შეთანხმებას 2013 წლის 31 დეკემბერს ხელი მის ჩინელ კოლეგა ხი ჯინპინგთან ერთად პეკინში მოაწერა.

ჩინეთის პრეზიდენტის აშხაბადში ვიზიტისას მან ხელი მოაწერა რამდენიმე პროექტის განვითარებას:

- თურქმენული გაზის ექსპორტის გაფართოებას ჩინეთში;
- თურქმენეთის ყველაზე დიდი საბადოს „გალკინიშის“ წარმოების ასათვისებლად ახალი გაზსადენის მშენებლობის პროექტს;
- „ბაგტიარლიკის“ საბადოს ათვისებას, რომლის განვითარებასაც ჩინეთის ეროვნული ნავთობის კორპორაცია (CNPC) ახორციელებს;

ახალი გაზსადენი Line D-ს გამტარუნარიანობა წლიურად 25 მილიარდი კუბ.მ. იქნება.

ყირგიზეთი, რომელიც მუდმივად ელექტროენერჯისა და საწვავის ნაკლებობას განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში განიცდის, ბუნებრივ აირს 224 კმ.-იანი გაზსადენით აღარ მიიღებს, თუმცა ქვეყანას, როგორც სატრანზიტო როლის მატარებელს, ფინანსურ სარგებელი ექნება.

გეგმის მიხედვით Line D-ს მშენებლობა 2016 წელს უნდა დასრულდეს. საწყის პერიოდში გაზსადენის გამტარუნარიანობა 5 მლრდ.კუბ.მ. იქნება, რომელიც ყოველწლიურად 5 მლრდ-ით გაიზრდება, მანამ, სანამ 2020 წლამდე 25 მლრდ.კუბ.მ-ს არ მიაღწევს.⁷

⁶ <http://news.ge/ge/news/story/74967-rusuli-kompania-siriashi-navtobs-moidziebs>

⁷ NewsBase FSU, OIL&Gas Monitor, Issue 764, 8 January 2014, Kyrgyzstan signs agreement on new gas pipeline to China

ბელარუსში ახალი წლიდან ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი 20-30%-ით გაძვირდა

ახალი წელი ბელარუსებისთვის საწვავისა და ელექტროენერგიის გაძვირებით დაიწყო.

მთავრობის შესაბამისი დადგენილება სახელმწიფო-საკანონმდებლო ვებ-გვერდზე პირველ იანვარს გამოქვეყნდა.



დოკუმენტის მიხედვით, ყველაზე მეტად, 30%-ით, ადგილობრივ მოსახლეობას ბუნებრივი და თხევადი აირი გაუძვირდა. ერთი კუბური მეტრი ზამთარში - 520.9 რუბლი (0.1 ლარი), ხოლო ზაფხულში - 1 906.6 რუბლი ღირს (0.35 ლარი). ცენტრალური გათბობის დროს გაზის ფასი, მრიცხველის გარეშე, კატეგორიების მიხედვით, თვეში ერთ სულზე, 15 250 რუბლიდან (2.78 ლარი) იწყება და 43 850 რუბლს აღწევს (8 ლარი). 1 კუბური მეტრი თხევადი გაზის ღირებულება მრიცხველის არსებობის შემთხვევაში, ზამთარში 8 070.6 რუბლია (1.47 ლარი), ხოლო ზაფხულში - 5 083.9 რუბლი (0.93 ლარი).

რაც შეეხება ელექტროენერგიას, მისმა ტარიფმა 20%-ით მოიმატა და 1 კვტ.სთ-ის ფასი 622.7 რუბლს (0.11 ლარი) შეადგენს. თუმცა, ბელარუსში მოხმარების დროის მიხედვით ელექტროენერგიის დიფერენცირებული ტარიფები მოქმედებს: საღამოს 22 საათიდან 17 საათამდე, მინიმალური დატვირთვის დროს, 1 კვტ.სთ. 435.9 რუბლი ღირს (0.08 ლარი), ხოლო 17 საათიდან 22 საათამდე, მაქსიმალური დატვირთვის დროს - 1245.4 რუბლი (0.23 ლარი).

სამაგიეროდ, ბელარუსის მთავრობამ შეღავათები ადგილობრივ მეწარმეებს გაუწია. პირველი იანვრიდან უძრავი ქონების სექტორში მოღვაწე კომპანიებისთვის კუბური მეტრი გაზის ფასი 10 აშშ დოლარით შემცირდა, იურიდიული პირებისთვის კი - 7.25 აშშ დოლარით. სასუქის მწარმოებლებისთვის ფასების კლებამ 13 აშშ დოლარიც კი შეადგინა. გარდა ამისა, მთავრობის გადაწყვეტილებით, უმსხვილესი ბელარუსი

მწარმოებლები იაფ ელექტროენერგიასაც მიიღებენ: მათთვის 1 კვტ.სთ - 0.5 აშშ ცენტით გაიფლება. ცემენტის, მინისა და ქიმიური მრეწველობისთვის ტარიფები 3.5 დოლარით შემცირდება.⁸

ევროკავშირი

2013 წელს ბრიტანეთის „წინა დღის ბაზარზე“ გაზის ფასები 14%-ით გაიზარდა

Platts –ის მონაცემებით, 2013 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით ბრიტანეთში „წინა დღის ბაზარზე“ ბუნებრივი აირის საშუალო სამომხმარებლო ფასმა 67.99 (1.12 აშშ დოლარი) პენსი/თერმი შეადგინა, რაც 2012 წლის საშუალო ფასთან (59.74 პენსი/თერმი) შედარებით 14%-ით გაზრდილია.



მას შემდეგ, რაც 1997 წელს ბრიტანეთის გაზის საბალანსო ბაზარი ამოქმედდა, 2013 წელს ფასებმა ბუნებრივ აირზე ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. შედარებისთვის 2003 წელს აღნიშნული ფასი 20.32 ბრიტანულ პენსს შეადგენდა. ფასების ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ქვეყანაში არსებული ცივი კლიმატური პირობები გახდა. ქვეყანას ზაფხულის განმავლობაში დიდი ოდენობის გაზის დაგროვება მოუწია, რათა ოქტომბრიდან მოყოლებული მიმდინარე ზამთრის პერიოდის ჩათვლით ქვეყნის გაზით მომარაგება შეძლებოდა. აზიაში ბუნებრივ აირზე მოთხოვნის ზრდამ გამოიწვია ასევე ბრიტანეთისთვის ბუნებრივ აირზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ქვეყანას წლის განმავლობაში სხვადასხვა მილსადენების გამოყენებით დიდი ოდენობის იმპორტის განხორციელება დაჭირდა.

პოლიტიკოსები ეძებენ გზებს, რათა ენერჯიაზე გადასახადებიდან ამოიღონ სხვადასხვა კომპონენტები. შინამეურნეობების ტარიფები მოიცავს საბითუმო ფასს, ქსელის მომსახურებას, გადასახადებსა და სოციალურ-გარემო ფაქტორებს.

„თუ კლიმატური პირობები გაუმჯობესდება, მოსალოდნელია, რომ ბუნებრივ აირზე ფასები დაიწვეს. თუმცა 2013 წელს ბრიტანეთში ცივი ამინდები აპრილამდე

⁸ <http://www.bpn.ge/ekonomika/2693-belorusshi-akhali-tslidan-eleqtroenergia-da-gazi-20-30-ith-gadzvirida.html?lang=ka-GE>

გაგრძელდა და ამიტომ ეს მოლოდინი შეიძლება ცოტათი გადაჭარბებულიც იყოს“ - აცხადებენ მიმწოდებლები.

გაზის საშუალო ფასები გაერთიანებულ სამეფოში 1997-2013 წლებში Platts-ის მონაცემებით შემდეგნაირად გამოიყურება: 1997 - 11.49 პენსი/თერმი, 1998 - 11.25 პენსი/თერმი, 1999 - 9.77 პენსი/თერმი, 2000 - 17.92 პენსი/თერმი, 2001 - 22.15 პენსი/თერმი, 2002 - 15.79 პენსი/თერმი, 2003 - 20.32 პენსი/თერმი, 2004 - 24.39 პენსი/თერმი, 2005 - 40.55 პენსი/თერმი, 2006 - 42.19 პენსი/თერმი, 2007 - 29.95 პენსი/თერმი, 2008 - 58.12 პენსი/თერმი, 2009 - 30.85 პენსი/თერმი, 2010 - 42.45 პენსი/თერმი, 2011 - 56.33 პენსი/თერმი, 2012 - 59.74 პენსი/თერმი, 2013 - 67.99 პენსი/თერმი.⁹

TAP-მა და ICGB-იმ აზერბაიჯანული გაზის ბულგარეთისთვის მიწოდების კონტრაქტს მოაწერეს ხელი

ტრანს ადრიატიკული (TAP) და საბერძნეთი-ბულგარეთის დამაკავშირებელი გაზსადენების (ICGB) კონსორციუმებმა ამ ორი პროექტის ერთმანეთთან დაკავშირების კონტრაქტს მოაწერეს ხელი. შეთანხმება აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის ბულგარეთისთვის მიწოდებას ითვალისწინებს, რაც ამ უკანასკნელს რუსულ გაზზე 100%-იანი დამოკიდებულებიდან ნაწილობრივ გაანთავისუფლებს.

TAP-ის ცნობით, მხარეები ერთობლივად იმუშავენ საბერძნეთის ტერიტორიაზე შესაძლო ახალი განშტოების გაკეთებაზე, რომლის საშუალებითაც მოხდება ბულგარეთისთვის გაზის მიწოდება და შემდგომში შესაძლებელი გახდება გაზის მიწოდება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სხვა რეგიონებშიც.



TAP-ის კომერციული დირექტორი ლუც ლანდვერი თავის განცხადებაში მიესალმება აღნიშნულ შეთანხმებას და ყურადღებას მის მნიშვნელობაზე ამახვილებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება მიწოდების დივერსიფიკაციისა და უსაფრთხოების ზრდა, როგორც ბულგარეთისთვის ასევე სხვა ქვეყნებისათვის.

ბულგარეთის ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, ICGB-ის პროექტი ტრანს-სასაზღვრო რევერსული გაზსადენების მშენებლობას მოიცავს და მისი საერთო სიგრძე 168.5 კმ.ია. აქედან, 140 კმ ბულგარეთის, ხოლო 28.5 კმ საბერძნეთის

⁹ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=5f3048a3-8061-461f-99bc-d0004559ea2d>

ტერიტორიაზე და ის საბერძნეთის კომოტინის რეგიონს ბულგარეთის სტარა ზაგორასთან დააკავშირებს. გაზსადენის გამტარუნარიანობა წლიურად 3-5 მილიარდ კუბ.მ-ს შეადგენს და მისი დიამეტრი 700 მმ. იქნება.

ბულგარეთის ოფიციალური მედია საშუალებების ცნობით, 160 მლნ. ევროს ღირებულების პროექტის ძირითადი დამფინანსებლები ევროკომისია და EBRD-ი იქნებიან. პროექტის მშენებლობა მიმდინარე წელს დაიწყება და 2016 წელს დამთავრდება.¹⁰

ელ.ენერჯის ფასები ლიტვაში სკანდინავიის რეგიონის მსგავსი გახდება

2013 წელს ელ.ენერჯის საშუალო ფასმა ლიტვაში ყოველ კვტ.სთ-ზე 0.04 ევრო შეადგინა, რაც 2012 წლის ფასებთან შედარებით 9.6 %-ით მეტია. 2013 წლის განმავლობაში



ყველაზე დაბალი ფასი 23 აპრილს დაფიქსირდა - 0.02 ევრო/კვტ.სთ, ხოლო ყველაზე მაღალ ნიშნულს 1 ოქტომბერს მიაღწია - 0.12 ევრო/კვტ.სთ. Nord Pool-ის ლიტვის სავაჭრო რეგიონში ყველაზე დაბალი ფასები თებერვლის, მაისისა და დეკემბრის თვეებში იყო. მაისსა და თებერვალში ელ.ენერჯის საშუალო თვიურ ფასს 0.04 ევრო/კვტ.სთ-თვის არ მიუღწევია.

მას შემდეგ, რაც 2013 წლის ბოლოს ესტონეთისა და ფინეთის დამაკავშირებელმა მეორე გადამცემმა ხაზმა დაიწყო ოპერირება, ჩრდილოეთ ევროპიდან მეტი ელექტროენერჯის იმპორტის შესაძლებლობა კიდევ უფრო გაიზარდა. 2015 წლის ბოლოს კი, როცა NordBalt-ი ამოქმედდება ჩრდილოეთ ევროპის გავლენა ელ.ენერჯის ფასებზე კიდევ უფრო დიდი იქნება და ლიტვის ელ.ენერჯის ბაზარი სრულიად მიუახლოვდება სკანდინავიის Nord Pool Spot-ის ბაზარს.¹¹

¹⁰ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=84567e8e-0150-4c1d-b8a3-153d18552580>

¹¹ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 695, 8 January 2013, Lithuania's electricity price to become similar to Scandinavian

ჩინეთი 2020 წლამდე ქარის ენერჯის სიმძლავრის გაორმაგებას გეგმავს

ქარის ენერჯის მსოფლიოს უდიდესი მწარმოებელი ჩინეთი მომდევნო 6 წლის განმავლობაში, არსებული ქარის გენერაციის გაორმაგებას გეგმავს. BBC-ის ცნობით



ჩინეთი გეგმავს განახლებადი ენერჯების ისეთ განვითარებას, რომლის პრეცედენტიც მსოფლიოს ჯერ არ ახსოვს. ქვეყნის მიმდინარე განახლებადი ენერჯების ჯამური დადგმული სიმძლავრე 75 გიგავატია და ქვეყანა 2020 წლამდე ამ სიმძლავრის 200 გიგავატამდე გაზრდას აპირებს.

ქარის ენერჯის განვითარებასთან ერთად ჩინეთი გარკვეული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. კერძოდ კი, ქარიანი რეგიონები დაშორებულია დიდი ქალაქებიდან და საჭიროა ახალი გადაწყვეტილებების ძიება. ასევე, ქარის ენერჯით მიღებული ელექტროენერჯის არასტაბილურობის და მერყეობის გამო წინა წელს მრავალი სადგური დაიკეტა ქარიან პერიოდშიც კი. სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად, წინა წელს ქარის სადგურების დაახლოებით 20-30% გაჩერებული იყო.

მიუხედავად პრობლემებისა, ჩინეთში ქარის ენერჯია განაგრძობს ზრდას და წინა წელს მან გადაუსწრო ატომურ სადგურებს და მესამე პოზიცია დაიკავა ნახშირისა და ჰიდროენერჯის შემდეგ. ჰაერის დაბინძურების პრობლემა, რომელიც ძალიან აქტუალურია ჩინეთში, აჩქარებს პროცესს და უბიძგებს ქვეყანას განავითაროს ქარის ენერჯო ინდუსტრია.

ქარის ენერჯიაზე მოთხოვნის ზრდამ გამოიწვია დარგში ახალი, უფრო ეფექტური ტექნოლოგიების გამოგონება, რომლებიც ნაკლები დანახარჯებით უფრო ეფექტურ და სტაბილურ ელ.ენერჯის გენერაციას ახდენენ.¹²

¹² http://energy.einnews.com/article/184396133/WX2RY_UVsxFOiABZ?n=2&code=GC3nUIIjkIECsLFtE

ისრაელის ბუნებრივი აირის პირველი მომხმარებელი პალესტინა იქნება

ისრაელის მიერ 2010 წელში აღმოჩენილი ლევიატანის საბადოდან მოსაპოვებელი ბუნებრივი აირის პირველი მომხმარებელი პალესტინა იქნება. მხარეებს შორის ბუნებრივი აირის 20 წლიანი შეთანხმება გაფორმდა. ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, ისრაელისაგან პალესტინა 20 წლის მანძილზე 4.75 მლრდ. კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს შეიძენს.

ბუნებრივი აირი გამოყენებული იქნება პალესტინის ელექტრო ენერჯით დაკმაყოფილებისათვის. აღნიშნული რაოდენობის ბუნებრივი აირისათვის კი ისრაელი 1.2 მლრდ. აშშ დოლარს მიიღებს.¹³

2013 წლის ნავთობისა და გაზის საბადოების 10 ყველაზე დიდი აღმოჩენა



2013 წელი წარმატებული წელი გამოდგა ნავთობის სამძებრო სამუშაოებში. გასულ წელს მრავალი საბადო აღმოაჩინეს, თუმცა მათი მარაგებიდან არცერთი არ აჭარბებს 1 მილიარდ ბარელს. წინა წელს დაახლოებით 400 საბადო გაიბურღა და აქედან 20 საბადო აღმოჩნდა „მშრალი“, ანუ

სასარგებლო წიაღისეულის გარეშე.

2013 წელს მსოფლიო ნავთობისა და გაზის ინდუსტრიამ ჯამში 20 მილიარდი ბარელი ნავთობის ახალი რეზერვები აღმოაჩინა, მაშინ როცა წინა წლის მსოფლიო მოხმარება 50 მილიარდ ბარელს გაუტოლდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ აღმოჩენების შედეგად უფრო მეტი ბუნებრივი აირის რეზერვები დაგროვდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

ქვემოთ მოყვანილია 2013 წლის ნავთობისა და გაზის საბადოების 10 ყველაზე დიდი აღმოჩენა. მათგან ყველაზე დიდი აღმოჩენები გხვდება მალაიზიაში, მოზამბიკში, ეგვიპტეში, ანგოლასა და კანადაში.

1. აგულა/კორალის ბუნებრივი აირის საბადო - კომპანია Eni-ს აღმოჩენა მოზამბიკში. 700 მილიონი ბარელის ეკვივალენტი (მბე)
2. ლონტრას აღმოჩენა ანგოლაში 900 მილიონი მბე (CIE)

¹³ <http://www.trt-world.com/gu/newsdetail.aspx?HaberKodu=d6932b82-0153-42b0-a500-8a0ba6af5be8>

3. B14/B17 ბუნებრივი აირის საბადო მალაიზიაში - 850 მილიონი მბე (Newfield Exploration)
4. ოგოს საბადო ნიგერიაში - 775 მბე (Lekoil)
5. ნენე მარინეს საბადო კონგოში - 700 მილიონი მბე (Eni)
6. ტანგავიზის ნავთობ საბადო - 575 მილიონი მბე (Statoil)
7. კორონადოს ნავთობ საბადო აშშ-ში, მექსიკის ყურეში - 550 მილიონი მბე (Chevron)
8. სალამატის ბუნებრივი აირის აღმოჩენა ეგვიპტეში, ნილოსის დელტაში - 500 მილიონი მბე (BP)
9. Maximino-ს ნავთობ საბადო აღმოსავლეთ კანადაში - 450 მლიონი მბე (Pemex)
10. Bay du Nord-ის აღმოჩენა კანადაში - 450 მლიონი მბე (Statoil და Husky)¹⁴

ანალიტიკა

მსოფლიო ექსპერტები 2014 წელს ნავთობის გაიაფებას პროგნოზირებენ

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ 2014 წლის მეორე ნახევარში ნავთობის ფასი 2013 წლის დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით 15%-ით ნაკლები იქნება.



ლიბიის მიერ ნავთობის მოპოვების განახლების ფონზე, საწვავის მსოფლიო ფასები შემცირებას განაგრძობს. 2 იანვრის ვაჭრობის შედეგად, WTI-ს ტიპის ნავთობის ღირებულება ბარელზე 2.98 აშშ დოლარით შემცირდა და 95.44 აშშ დოლარი შეადგინა. Brent-ის ნავთობი კი 3.02 აშშ დოლარით გაიაფდა და 107.78 აშშ დოლარს გაუტოლდა.

¹⁴ http://energy.einnews.com/article/184409846/89eM6rSKdpt_Ck02?n=2&code=GC3nUIJkIECsLFtE

„შავი ოქროს“ გაიაფების ერთ-ერთი მიზეზად კუმინგის საცავში (ოკლაჰომას შტატი) ნედლი ნავთობის მარაგის გაზრდასთან დაკავშირებით მიმდინარე სპეკულაციებიც სახელდება.

შეგახსენებთ, რომ 2014 წლის პირველი დღის ვაჭრობაზე ამერიკის შეერთებული შტატების საფონდო ინდექსები – DJIA და Nasdaq-ი შემცირდა.

2013 წლის ბოლოს ექსპერტები მოპოვებული ნავთობის სიჭარბის პრობლემაზე საუბრობდნენ. ახლა რთულია იმის პროგნოზირება, როგორი იქნება „შავი ოქროს“ ფასი მას შემდეგ, რაც მსოფლიო ბაზარზე ნავთობი ირანიდან შევა, დასრულდება ლიბიაში ამბოხებულების მიერ ნავთობტერმინალების ბლოკადა და სირიაში არსებული სიტუაციის მშვიდობიანი დარეგულირება მოხდება.

ამის მიუხედავად, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ წლის მეორე ნახევარში, 2013 წლის დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით, ნავთობის ფასი 15%-ით დაიწევს.

რაც შეეხება საქართველოს, შეგახსენებთ, რომ ქართულ ბაზარზე საწვავის ფასი ბოლოს 2013 წლის 19 დეკემბერს შეიცვალა, როდესაც თითქმის ყველა ნავთობკომპანიამ სახეობების მიხედვით, პროდუქცია საშუალოდ, 5-7 თეთრით გაამვირა. მიზეზად ლარის კურსის დაცემა დასახელდა.¹⁵

¹⁵ <http://www.ttimes.ge/archives/13307>